- ამ ხელშეკრულების მიზნისათვის დაუძლეველი ძალის ქვეშ იგულისხმება ისეთი გარემოებები, რომლებიც არ არსებობდნენ წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების დროს და რომელთა წარმოშობისა და ზემოქმედების თავიდან აცილება მხარეებს არ შეეძლოთ საკუთარი ძალისხმევით, კერძოდ, წყალდიდობა. მიწისძღვრა, აფეთქება, ხანძარი, ავარია, ომი და საომარი მოქმედებები, ბლოკადა, გაფიცვები, კანონმდებლობის ცვლილებები, რომლებიც აუარესებენ წინამდებარე ხელშეკრულების სუბიექტების სამართლებრივ სტატუსსა და რეჟიმს და სხვა.
- თუ ნებისმიერმა ზემოარნიშნულმა გარემოებამ უშუალოდ იმოქმედა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადებზე, მაშინ ეს ვადები ამ გარემოებების მოქმედების დროს თანაბარზომიერად გაიზრდება.
- მხარემ, რომლის ვალდებულების შესრულებასაც ფორს–მაჟორული გარემოებების დადგომის გამო შეფერხება შეექმნა, უნდა მიიღოს მის ხელთ არსებული ყველა შესაძლებელი ზომა დაუძლეველი ძალის ზემოქმედებით გამოწვეული უარყოფითი შედეგების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით და დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს ხუთი დღისა ამ გარემოებების დადგომის და დასრულების დღიდან, აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი კარგავს უფლებას დაეყრდნოს ფორს – მაჟორული გარემოებების არსეობობას, როგორც პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების საფუძველს.

9. დასკვნითი დებულებები

- წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.
- ყველა სხვა საკითხი, რომელიც არ არის ასახული წინამდებარე ხელშეკრულებაში, რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
- იურიდიული მისამართისა ან საბანკო რეკვიზიტების შეცვლის შემთხვევაში, მხარეები ვალდებულნი არიან 3 დღის ვადაში აცნობონ ერთმანეთს ამის შესახებ.
- წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად ხელშეკრულების სამივე ეგზემპლარს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.
- წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედების მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულ შესრულებამდე.

მხარეთა იურიდიული მისამართები და საბანკო რეკვიზიტები

სსიპ №84 საჯარო სკოლა,
წურწუმიას №17, „ლიბერთი ბანკი “
ისანი4 სერვის ცენტრი,
ბ. კ LBRTGE22,
ან № 34084113644 ს/კ 206031667

„შპს ფოტო სამყარო
მის.: მელიქიშვილის 6
სს საქართველოს ბანკი“
ან № 119818600
ბ.კ BAGAGE22, ს/კ204 435 511

სკოლის დირექტორი მ. ნარკვეზია

ხემძღვანელი მ. [illegible]

LEPL TBILISI №84 PUBLIC SCHOOL
MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA
206031667

GEORGIA. "PHOTO SAMYARO"
204435511